დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯი იბერიაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნათია მაწკეპლაძე
წევრები:
იამზე ნოზაძე
ტიტე ბოლქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი იბერია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 6 მარტის №274356 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ და „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები“ ფარგლებში, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) ქვეპუნქტის შესრულების შემოწმება.

შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 26 მარტს სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის №61).

მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ასევე გაიმართა ჯგუფის დისტანციური შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა ვიზიტის დღის წესრიგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტი წარიმართა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა გადამოწმებული დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგია და დანერგილი პრაქტიკა. ჩატარდა გასაუბრებები დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებლებთან. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოს, მატერიალური რესურსების და პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
მოდის ტექნოლოგია და დიზაინი	45	25	1	1
საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები	30	15	-	-

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
მოდის ტექნოლოგია და დიზაინი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ექსპერტთა ჯგუფს გამოეგზავნა სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №451066 წერილი, რომლითაც დასტურდება დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტის გაცნობა და ექსპერტთა შეფასებაზე თანხმობა.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N26, 15.04.2025; ცვლილება: ბრძანება N28, 15.04.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის #61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია:

15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 1 ერთეული მულტიფუნქციური პრინტერი.

15 პრფესიულ სტუდენტზე გათვლილი C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 1 ერთეული მულტიფუნქციური პრინტერი.

ლაბორატორიაში განთავსებულია პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა. კერძოდ: 15 ერთეული ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა, 1 ერთეული სამძაფიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა, 1 ერთეული ხუთძაფიანი, ორნემსიანი მანქანა (სამრეწველო), 1 ერთეული ღილკილოს შემსრულებელი მანქანა, 1 ერთეული ღილის დასაკერებელი ნახევრად ავტომატური მანქანა (სამრეწველო), 1 ერთეული პროგრამული მართვის ნახევრადავტომატური საქარგავი მანქანა, 2 ერთეულიზიგზაგური გვირისტის მანქანა, 1 ერთეული ფიგურული გვირისტის სპეც მანქანა „რასპაშივალკა“, 1 ერთეული მცირე გაბარიტიანი ელექტრონული საგამომჭრელო მანქანა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დისკური დანით, 1 ერთეული საუთოო წნეხი ვაკუუმის გამწოვით (IRON PRESS), 30 ერთეული ერთნემსიანი საკერავი მანქანის მიმმართველი აპარატები სხვადასხვა ოპერაციისთვის, 1 ერთეული საუთაო მაგიდა, 1 ერთეული ორთქლის უთო, 1 ერთეული პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი და ა. შ.

დაწესებულებას პროფესიული მოდულისთვის „ტანსაცმლის ესკიზის შექმნა“ გამოყოფილი აქვს სამხატვრო ლაბორატორია, განკუთვნილი 15 პროფესიული სტუდნტისთვის. იგი აღჭურვილია: 15 ერთეული სახატავი დაფა, 15 ერთეული დაფის სადგამი, 15 ერთეული ტუმბო, 15 ერთეული წყლის ჭურჭელი (საღებავის გასაზავებლად). აუდიტორიაში წარმოდგენილია 15 პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო მასალა/ნედლეული. კერძოდ: უბრალო შავი ფანქარი (სხვადასხვა ნომერი), რბილი საშლელი, საკანცელარიო სათლელი დანა, ვატმანის ფორმატი, აკვარელი ფუნჯი (სხვადასხვა ნომერი) და ა. შ.

დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან. კერძოდ:

- შპს მარიონელა - მიიღებს ჯამში 5 პროფესიულ სტუდენტს;
- ი/მ მარიკა მოდებაძე - მიიღებს ჯამში 5 პროფესიულ სტუდენტს;
- ი/მ მზია ბანძელაძე - მიიღებს ჯამში 5 პროფესიულ სტუდენტს.
- სს იმერი-ჯამში მიიღებს 30 პროფესიულ სტუდენტს.

მიმდინარე სტუდენტების რაოდენობაა - 25.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით ორ ცვლაში შესაძლებელია საერთო რაოდენობის (45 პროფესიული სტუდენტი) მომზადების ერთდროულად გატარება.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გადამოწმდა 2025 წლის 17 ივნისის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი „გაუმჯობესების გეგმის“ შესრულება და დადგინდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო დამატებითი აღჭურვილობის შეძენა. კერძოდ: 12 ერთეული ქინძისთავების ნაკრები, 4 ერთეული გრძელი სახაზავი სიგრძით 1 მეტრი, 1 ერთეული სახაზავი იარაღების კომპლექტი (დიდი ცირკული, კუთხემზომი ფარგალი, კონსტრუქტორის სახაზავი, სპლაინი), 1 ერთეული სამკუთხედი სახაზავი დიდი, 1 ერთეული ქსოვილის სისქის საზომი ხელსაწყო, 14 ერთეული საფეიქრო ლუპა , 2 ერთეული მარტინის ტიპის პორტატული ანტროპომეტრი, 10 ერთეული ძაფის საჭრელი მაკრატელი "კუსოჭკა", 12 ერთეული მაკრატელი დიდი , 30 ერთეული მიმმართველი თათებით, 30 ერთეული ერთნემსიანი საკერავი მანქანის მიმმართველი აპარატები სხვადასხვა ოპერაციისთვის, 1 ერთეული ორთქლის უთო, 2 ერთეული პროექტორი - Acer X1228i DLP 3D Wireless Projection,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

HDMI ;VGA i,1024x768, 4500 lm,, 2 ერთეული DW-110 გამოსაჭრელი მანქანა, 2 ერთეული დაფა მარკერის მაგნიტური 70*100 სადგარით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინები-შეფასდა შესაბამისად.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც პროგრამის მოცულობასა და შინაარსს სრულად შეესაბამება. მათ შორის, 4 წარმოადგენს დარგის სპეციალისტს და უზრუნველყოფს დარგობრივი მოდულების განხორციელებას, ხოლო 6 მასწავლებელი ჩართულია ზოგადი მოდულების სწავლების პროცესში. პროგრამას თან ერთვის შესაბამისი დანართი, რომლის მიხედვითაც თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი ან მეტი განმახორციელებელი პირი, რაც უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტობასა და პროცესის ეფექტიან მართვას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის პირადი საქმეები და გადაამოწმა მათი შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე დადასტურდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის მეთოდოლოგია/ტაბელი, რომლის საფუძველზეც ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ იგეგმება საათობრივი დატვირთვის სქემები. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს პერსონალის დატვირთვის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ პირებს, რის შედეგადაც დადასტურდა მათი ჩართულობა, კვალიფიკაცია და მზადყოფნა სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის. ამასთან, ყველა განმახორციელებელ პირთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამისთვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება არის საკმარისი და რეალისტური, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას ინდიკატორი-შეფასდა შესაბამისად.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

კოლეჯში დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი, რომელიც უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანდიდატის კვალიფიკაციას, შრომით გამოცდილებასა და პროფესიულ კომპეტენციებს, ასევე მათ შესაბამისობას დასაკავებელ პოზიციასთან.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირად საქმეებში დაცულია მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის დიპლომები და სერტიფიკატები. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში. მათ რეგულარულად უტარდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები როგორც დარგობრივი კომპეტენციების გაღრმავების, ასევე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების უწყვეტობა და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია-შეფასდა შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის №126 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირს. იგი ხელმძღვანელობს პროგრამის შემუშავებისა და შემდგომი განვითარების პროცესებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებითა და/ან პრაქტიკული გამოცდილებით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. დადგინდა, რომ პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის დანიშვნა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო მისი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე ჩაატარა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ხელმძღვანელი კარგად იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებაში. იგი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებელთა შერჩევაში, მატერიალური რესურსების მობილიზებაში, აგრეთვე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი-შეფასდა შესაბამისად.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის. დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული რესურსებით, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმატით. ყველა რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად.

ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს პროფესიულ სტუდენტებზე მორგებულ 1 კომპიუტერს, პრინტერს, ასლგადამღებ აპარატსა და ელექტრონულ კატალოგს. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ სამკითხველო დარბაზში, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია ზემოთ აღნიშნული ინვენტარი.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით, ამობეჭდონ ელექტრონული სახით არსებული მასალები, გამოიყენონ სამკითხველო დარბაზი და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში-შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია''. კოლეჯს ასევე ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, რომლებიც მეთოდოლოგიის და სსსმ პირების საჭიროებების საფუძველზე უზრუნველყოფენ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა მოთხოვნილებების შესაბამისად.

მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას. დაწესებულების იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

A, B და C ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად-შეფასდა შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მისი ფინანსური უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს. პროგრამის განხორციელება და მიმდინარე პროცესები ფინანსურად მხარდაჭერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსების მექანიზმების გამოყენებით.

ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში კოლეჯი იღებს თითოეული პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასურს, პროგრამით გათვალისწინებული მოდულების ღირებულების შესაბამისად, რაც მოიცავს მთლიან პროგრამას. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების პროგნოზირებადობასა და სტაბილურობას.

პროგრამის ფინანსური მდგრადობა დასტურდება იმით, რომ მისი რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 9 სტუდენტით, ხოლო საპროგნოზო ბიუჯეტი აგებულია სწორედ მინიმალურ შესაძლო კონტინგენტზე. ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ხარჯს და აჩვენებს, რომ 9 სტუდენტის შემთხვევაშიც კი პროგრამის შემოსავლები სრულად ფარავს ხარჯებს.

ამასთან, კოლეჯი გეგმავს ერთ ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას, რაც დამატებით ზრდის პროგრამის ფინანსურ სტაბილურობასა და ეფექტიანობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის ფინანსური რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, მდგრადი და უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ, ხარისხიან და ეფექტიან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა-შეფასდა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“,
- დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებული “ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია”.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გაანგარიშების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვებში;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება #39 29/05/2025 (ცვლილება შევიდა 2025 წლის 17 ივნისის #44 ბრძანებით)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის #61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია:

15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A/C ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია №110) რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 1 ერთეული მულტიფუნქციური პრინტერი.
- C გარემოსთვის განკუთვნილი, პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობა და ინვენტარი.

15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია №203) რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1 ერთეული მულტიფუნქციური და ჭავლური პრინტერი.

აუდიტორიებში განთავსებულ კომპიუტერებში ჩატვირთულია სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერული პროგრამები.

პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც მოითხოვს პრაქტიკული დავალების შესრულებას დაკვირვებით, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია შესაბამის ობიექტზე, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება:

- სასაწყობე მეურნეობა ი/მ დავით თვალაძე - მიიღებს ჯამში 15 პროფესიულ სტუდენტს;
- შპს კულინარი - მიიღებს ჯამში 15 პროფესიულ სტუდენტს;
- შპს „მგა მოტორსი“ - მიიღებს ჯამში 15 პროფესიულ სტუდენტს.

მიმდინარე სტუდენტების რაოდენობაა - 15.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით ორ ცვლაში შესაძლებელია საერთო რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) მომზადების ერთდროულად გატარება.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გადამოწმდა 2025 წლის 17 ივნისის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი „გაუმჯობესების გეგმის“ შესრულება და დადგინდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო საჭირო პროგრამული პაკეტების სრულად შეძენა, რაც კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის განხორციელების რესურსულ საფუძველს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინები-შეფასდა შესაბამისად.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

საგანმანათლებლო პროგრამით „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები“ განსაზღვრული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 4 დარგის წარმომადგენელი, ზოგადი მოდულების განხორციელებაში - 5 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამას თან ერთვის დანართი, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას თითოეულ მოდულზე განსაზღვრული ყავს მინიმუმ 2 და მეტი განმახორციელებელი პირი. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის მეთოდოლოგია/ტაბელი, რომლის გათვალისწინებით ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის სქემების შედგენა, რათა პერსონალის დატვირთვა არ აცდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას ინდიკატორი-შეფასდა შესაბამისად.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

კოლეჯს დამტკიცებული აქვს პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესი. შერჩევისას ითვალისწინებენ პირის კვალიფიკაციას, შრომით გამოცდილებას და კომპეტენციებს და მათ შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია-შეფასდა შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რის მიხედვითაც პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებასა და მისი განვითარების პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. ინტერვიურების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი-შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის. დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული რესურსებით, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმატით. ყველა რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად.

ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს პროფესიულ სტუდენტებზე მორგებულ 1 კომპიუტერს, პრინტერს, ასლგადამღებ აპარატსა და ელექტრონულ კატალოგს. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ სამკითხველო დარბაზში, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია ზემოთ აღნიშნული ინვენტარი.

სტანდარტით დადგენილი სასწავლო რესურსი შედგება კანონების, დებულებების მარეგულირებელი აქტების და სხვა საკანონმდებლო დონეზე დადგენილი დოკუმენტებისგან, რაც სასწავლო პროცესის უახლესი გამოცემებით განხორციელების უზრუნველყოფისთვის მოიაზრებს საკანონმდებლო მაცნესთან (matsne.gov.ge) ხელშეკრულებას. შესაბამისად, პროფესიულ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მაცნესთან. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით, ამობეჭდონ ელექტრონული სახით არსებული მასალები, გამოიყენონ სამკითხველო დარბაზი და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში-შეფასდა შესაბამისად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია". კოლეჯს ასევე ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, რომლებიც მეთოდოლოგიის და სსსმ პირების საჭიროებების საფუძველზე უზრუნველყოფენ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა მოთხოვნილებების შესაბამისად.

მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

დაწესებულების იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

A, B და C ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად-შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (9 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები“ ფინანსურად მდგრადია, დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა-შეფასდა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“,
- დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებული “ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია”.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გაანგარიშების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....
.....
.....
.....

27.04.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: